გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 876

უშიშროების საბჭო კვლავ ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854 და 1993 წლის 24 აგვისტოს 858 რეზოლუციებს,

ეყრდნობა რა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1993 წლის 17 სექტემბრის განცხადებას (S/26468), რომელშიც უშიშროების საბჭომ გამოხატა თავისი უკიდურესი შეშფოთება აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) სიტუაციის გამო და დაჟინებით მოუწოდა ყველა ქვეყანას ხელი შეუწყონ მშვიდობის პროცესის განახლებას,

განიხილა რა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 12 ოქტომბრის წერილი (S/26576),

განიხილა რა, აგრეთვე, გენერალური მდივნის 1993 წლის 7 ოქტომბრის მოხსენება (S/26651),

ღრმად შეშფოთებული რეგიონში კონფლიქტით გამოწვეული ადამიანთა ტანჯვის გამო და ცნობებით ეთნიკური წმენდისა და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების შესახებ,

მიაჩნია, რომ კონფლიქტის გაგრძელება აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას,

1. ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას;

2. კვლავ ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთში არსებულ ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების უხეშ დარღვევას აფხაზთა მხარის მიერ და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის დარღვევით წარმოებულ შემდგომ მოქმედებებს;

3. გმობს აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობას;

4. მოითხოვს, რომ ყველა მხარემ შეიკავოს თავი ძალის გამოყენებისა და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის ნებისმიერი დარღვევისაგან და ამასთან დაკავშირებით მიესალმება გენერალური მდივნის გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკაში ფაქტების დამდგენი მისიის მივლინების თაობაზე, კერძოდ, ეთნიკური წმენდის შესახებ ცნობების მოკვლევისა და დადგენისათვის;

5. ადასტურებს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლებას და მოუწოდებს მხარეებს ხელი შეუწყონ ამ პროცესს;

6. მიესალმება აქამდე გაწეულ ჰუმანურ დახმარებას, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს თავისი წვლილი შეიტანონ ჰუმანურ დახმარებაში;

7. მოუწოდებს რეგიონში საერთაშორისო ჰუმანური დახმარების დაუბრკოლებელი განხორციელების უზრუნველყოფას;

8. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს არ დაუშვან მათი ტერიტორიებიდან ან მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირთაგან აფხაზთა მხარისთვის ნებისმიერი დახმარების გაწევა, გარდა ჰუმანურისა, განსაკუთრებით, არ დაუშვან ნებისმიერი სახის იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდება;

9. კვლავ ადასტურებს თავის მხარდაჭერას გენერალური მდივნისა და მისი საგანგებო წარმომადგენლის ძალისხმევის მიმართ, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოქმედ თავმჯდომარესთან თანამშრომლობით და რუსეთის ფედერაციის მთავრობის, როგორც ხელშემწყობის, დახმარებით მიმდინარეობს მშვიდობიანი პროცესის წინ წაწევისა და საერთო პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით;

10. აღნიშნავს გენერალური მდივნის წინასწარ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან დაკავშირებით და მიესალმება მის გადაწყვეტილებას წარმოადგინოს დამატებითი მოხსენება გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და პოლიტიკურ ასპექტში გაეროს როლის შესახებ აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრებისათვის;

11. ადგენს კვლავ იმუშაოს ამ საკითხზე.

19 ოქტომბერი, 1993